





საბუნი

ქრონოლოგიური
ბიბლიოთეკა

გამოცემის 43-ე წელი. ზანი 20 კპ.



— რა არის ეს, მარცხენა ხელით წერას
ასწავლით თანამშრომლებს?
— არა, ჩვენს დირექტორს აინტერე-
სებს ვინ უწერს ანონიმებს.



ბ. 65

ინონი

საიათნოვას „რა ზარბაზის“ ხმაზე
პაროდია

რა ქვეშევრეშა, რა ჩუმჩუმა, რა მყრალი ვარ,
იცი განა?
რა შურით ვარ ავსებული, რა მწყრალი ვარ, იცი
განა?
ანონიმურ წერილებს მწერალი ვარ, იცი განა?
მთავრობასაც შეუტყვია რავარი ვარ, იცი განა?
შენ არ შეგიტყვია განა? მაშ არ შეგიტყვია განა?
ახლა მოდი, მოგახსენო, რად მოვკიდე ხელი
წერას,
არ გეგონოს უსაქმობით ატანილი ვყავდი
წერას,
გულში მიზის წერის მწერი, მწყერი ვნახო,
აღვწერ ძერას,
რას ვაშავებ, თეთრს ვაშავებ, თუ არ შაჯად,
ვიტყვი ვერას,
რასაც ვნატრობ, მას ვწერ მარტო, მართალი
ვარ, იცი განა?
რასაცა ვწერ, ჩუმადა ვწერ, ღამ-ღამე ვწერ და
ვწერ მარტო,
ყველას მოხსნას, ყველას ჩასმას, ყველას
გაფუჭებას ვნატრობ,
მადლიერი თუ არვინ მყავს, ასპარეზი ხომ
მაქვს ფართო,
სხვას რა ართობს, სხვამ იკითხოს, მე კი ჩემი
ღვაწლი მართობს,
უმწიკვლო და უანგარო მოღვაწე ვარ, იცი განა?

ჩემთვის ყველა საკბილოა, გიგლაა თუ ბორისია,
ერთს დავწერ და ჩამოპყვება კომისიას კომისია,
და წრიალებს ჩემი გმირი: „ეს ჭირი ვინ მომისია?“
სხვას ვტანჯავ და მე ვიცი, შევასრულე ხომ
მისია!

ვინც არ მიცნობს, ისიც კი გრძნობს, რა კაციც
ვარ, იცი განა?

ზოგჯერ მაინც ამას ვჩივი, სამალი ვერ მიპოვია,
მინდა გული ზედ ავაგო, კალამი ვერ მიშოვია,
მინდა ვიგრძნო სინანული, ვარამი ვერ მიშოვია,
თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ მიშოვია,
კუზიანს რომ თვით სამარეც ვერ ასწორებს,
ვიცი განა?

მ.პარჩავა



— 64 სანტიმეტრი გაკვეთი თავი!
— 60 აილა, ალგილკომის კრებიდან მოვდივარ.

კონ!

ოდეს განმტკიცდა იატაკი ქუთაისის რესტავირებული № 1 მწვანე ბაზრისა,
ქორონიკონი იყო 1965, ვარდობის თვე.

პოი, უკვდავებავ, ვინ არ ვნატრობდეს, ვინ არ გეპოტინებოდეს შენი..
პოი. შურო, კაცთა შურო, ანთებულო ძე ხორციელთა გულში, შურო, შენ მწუნა-
რებავ კაცთა სიკეთესა ზედა, რატომ გწაღია ზოგიერთსა უმართებულოდ დაურაზო
კარი უკვდავებისა?

ღმერთო მაღალო, ჩვენო მფარველო, მოსარჩლე და გულთამხილველო, განა
ცოტა იღვაწა და იმუშავა ქუთაისის მწვანე ბაზრის დირექტორმა, მონამან შენთან, გაბო
გაბრიელის ძე ბურჯანაძემან? რამეთუ ცოდვა ქნა, რამეთუ ახლაც ჩადის, ნებისთ თუ
უნებლიეთ. შეუნდე შენ. დე, გაბო ბურჯანაძე იხსენებოდეს მწვანე ბაზრის სადარბაზო
შესასვლელზე, იატაკსა ზედა, რამეთუ ასე ისურვა მან გაუკვდავება, რამეთუ ბაზრის
შესასვლელზე აღბეჭდა სახელი და გვარი თვისი.

დე, ამის მოკრძალებულ სახელსა და გვარზე, დავით აღმაშენებლის საფლავის გუ-
ლისპირის დარად, ვლიდეს მთელი დუნია, მადლიერი იმერნი, ქუთაისის სპეკულან-
ტები და ქორ-ვაჭრები, გადამყიდველნი და საქმოსანნი, ლეჩხუმელნი და სვანნი, ოკრი-
ბელნი და გოდოგენელნი, გეგუთელნი და პატრიკეთელნი, საყულიელნი და ოფშკვითელნი.
არა აკლებდნენ მას დიდებასა და შენდობასა...

ღმერთო მაღალო, შენ გულუბვო, განმკითხველო, დაუმკვიდრე გაბოს უკვდავება
და ჭეშმარიტი სასუფეველი ქუთაისის მწვანე ბაზრის სადარბაზო შესასვლელის ფი-
ლაქანზედა!

ისმინე, ღმერთო მაღალო, ამინ..

საყვარელ ქუჩებში

(ახალი ვარიანტი)


გაირღვა ღრუბელი და „თბილმრეწვევაჭრობამ“ რაც რომ ვერ გაყიდა, ქუჩებში დაყარა, მივდივარ, მივყვები ხალხმრავალ ბაზრობას, ერთმანეთს ვაწყდებით დიდი თუ პატარა.

მივყვები „ხეივანს“ და ვიცი დამლლიან, რა ვიწრო „ტრასაა“, რა ძნელი, რა რთული, საყვარელ ქუჩაზე რამდენი დახლია, რამდენი ურიკა, რამდენი ფარდული.

შევცქერი გაზონებს გათელილს, გადამხმარს, ვაბიჯებ ნამწვავებს, ნაგლეჯებს, ნახევებს, მივყვები, მომყვება ვილაცა მხარდამხარ, მჯილის კვრით, მუშტით და მხარულით მამხნეებს.

მეხლება, ვეხლები ვილაცა გოლიათს, ნერვები მაწყდება ამ ამბის დამნახავს, მივდივარ, მივყვები და ასე მგონია, ან ვინმეს გავლახავ ან ვინმე გამლახავს.

პრ. ჩიქვილაძე




გვერდობიან-კუჩხსუნები

კითხვა — როგორ მოვიქცეთ უცარი ხანძრის დროს?

პასუხი — არავითარ შემთხვევაში არ გამოუძახოთ სახანძრო რაზმს! (ეს იმას უდრის, ბრმა ნაწილავის მწვანე შეტევის დროს სასწრაფოს რომ გამოუძახოთ). ვიდრე აღდგომის კვრაცხისფერი მანქანა კივილით გაიჭროლებს ქუჩებში, თქვენს სახლში ხანძარი უცვლელად ჩაითავსება.

მაშ, როგორ მოვიქცეთ? მთავარია, არ დავიხნეთ. ჯერ უნდა გავიხსენოთ, ვინ დაგვწყვევს, დაგვწვას ოჯახი.



ამის მერე იწყება ოპერატული მოქმედება: ბავშვს ძვირფას ნივთებთან ერთად გავაქანებთ გარეთ. ცოლი თავისით ახერხებს ევაკუირებას. შემდეგ ვბრუნდებით სახლში, მაგრამ ვცეტავთ ფანჯრებს, ასევე კარებსაც. ამით ცნობიშნობთ მეზობლებს ვართ-მეთუ ნიღვის სიამოვნებას, უფარგის ნივთებს კი — გადარჩენის საშუალებას. მერე დავიფერობათ შარვალს, მოვიფუგნებთ ოღნავ შეტრუსულ წარბებს და დინჯი ნაბიჯით გავდივართ ეზოდან. მოგვყავს დანღვევის აგენტი. მოთქმებით ველით ცეცხლის ჩაჭობას. მერე იწყება გამანზალეული არზა და ერთიორად გვიანდაურდება დახაკარგი.

კითხვა — რა ვაკეთოთ სამუშაო საათებში?
პასუხი — არაა დასაშვლი და არავინ იკლავს სამსახურში საქმიან თავს. პირიქით, ერთ საათში ჩაახლავთ თებენ ხოლმე. დანარჩენი ექვსი საათი ბუზები თვალონ?

აქ უფრო საშუალებად გვევლინება ქაღალცი. იგი ბევრჯერ დაინერგა. დავისვით ჩვენი თანამშრომელი, შემოვიღოთ შუბლზე ხელი და ვიფიქროთ, რამდენიც გვინდა. გულახდილად უნდა ითქვას, მართო ქაღალცი ვერ გავლევთ სამუშაო დროს. აქ სიტყვა ეძლევა მაგიდის ჩოგბურთის (ე.წ. პინგ-პონგს), ადგილკომის მზიარულ კრებას, სიმღერის გუნდს, ცეკვა-თამაშს და ჩვენც — ენერჯითა და ხალისით სავსე-ფობრუნდებ.



ბით საყვარელ საქმეს — ოჯახზე ზრუნვას.

კითხვა — რა მოვუხერხო საპროტექციოდ მოსულ ხალხს?

პასუხი — ქრთალიერით გზა გამოცდების პერიოდში სახლიდან ავორთქლდეთ. დიან, ავორთქლდეთ, სახლს დავადლოთ დიდი ბოქლოში, ბავშვი გაფუშვით დედასთან, სიღვდრი და ცოლი — სიმაგრთან, ჩვენ კი მოვქებნოთ ვინმე შორეული ნათესავი, დავარწმუნოთ ჩვენი შვიკის სიასლოვეში და დროებით ჩვენს სახლში მასთან ცოლითან გაყრის მოტივით (თორემ ხომ შეიძლება მასაც ჰყავდეს აბითურიენტი?!).


ერთი სიტყვით, ისე უნდა ავიროთ გზა-კვალი, მილოციაშიც ვერ შეძლოს ჩვენი მოგვება (თორემ ხომ შეიძლება მილიციასაც ჰყავდეს აბითურიენტი?!).

სასურველია, დროებით მოვუშვათ წვერი, ვატაროთ შავი სათვალე და უკიდურეს შემთხვევაში, პარტიც.

დანარჩენი ჩვენს მარიაფათზეა დამოკიდებული.

პასუხები მოამზადა პარი. პარალიონ

ჩვენი მემორაჟის ზიზილი



ჩივასა და თბილისს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ.

21 ივლისს ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავი სრულდება. ამ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენი კოლეგის — ჩივის სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „დაძისის“ ნამუშევრებს.



— მიზველეთ, უძილობა მაქვას.
— ძილის წინ ასამდე დათვალოთ.
— ასი ცობაა, მძიო, მძიო მაქვს გაფლანგული



— თუ ღმერთი გზამთ, გავხვს მიიხილეთ




ვაუკაცობა
ვაკუბიათვა

1. ქალიშვილების შეცდენის საუკეთესო მეთოდი გაქვს. ვინც მოგეწონება, ყველას ოჯახის შექმნას სთავაზობ (2 ან, დიდი-დიდი, 3 თვით) და მერე ისევ ახალ მსხვერპლს დაეძებ. სიდედრი დღედაღამე ხელაპყრობილი გწყევლის — ეს ვინ შემოვლუშვით ოჯახშიო. ჭერჭერობით წყევლა ვერაფერს გაკლებს, მშვენიერად გრძნობ თავს, მაღაც კარგი გაქვს და ძილიც.
შენისთანა ფართო გაქანების სპეციალისტს, რა თქმა უნდა, ერთი და ორი ქალაქი არ ეყოფა სამოღვაწეოდ. ამიტომაც, მოხეტიალე ცხოვრებას რომ ეწევი. ვაუკაცი ხარ და, ამიტომაც, კარგი გოგოს დანახვაზე მოსვენებას რომ კარგავ. პატარა ძალადობა თუ დაგჭირდა, ამაზედაც არ დაიხვე უკან.
არის აზრი, ერთი ხუთიოდე წელი არ გაწყენდა „საყვავილეში“ ჯდომა და მგონი ეს ამბავი კიდევ არ ავცდება. მანამდე, ალბათ, ერთ ქორწინებას კიდევ მოასწრებ.

2. სუფრასთან არ მჯდარხარ, ვაუკაცობის სადღეგრძელო რომ არ დაგვიღოს. ჩვენს ქართველობას და ჩვენს ვაუკაცობას გაუმარჯოსო, გაიძახი.
საქმე საქმეზე რომ მიდგება, მოხუცებულს ადგილს არ უთმობ ტრამვაში. პირიქით, ჩამოსვლის დროს, შეიძლება ხელიც კრა.
ხელკავი არ გწამს, ქუჩაში, ქალს თუ მიყვები, ხელს პირდაპირ კისერზე ხვევ. პერანგი ზომაზე მეტად გაგიღვლია და ხუჭუჭი თმა თვალებზე ჩამოგიშლია.
ისე, ტანი არ გაკლია და ფეხი, ვინც შემოგხედავს, ყველა ამბობს: რა დედამ შობა, რა ინტერნატმა გაზარდაო.
შენ იცი და შენმა ვაუკაცობამ, როგორ გააგრძელებ მჩქეფარე, შინაარსიანი ცხოვრების გზას.

3. თვეში სამოც მანეთს იღებ და ამდენი ზოგჯერ დღეში გეხარჯება. სისტემაში ერთი კაცი თუა, შენც ხარ. თუ ვინმე რამეს დაიტრაბახებს, ორი „ვოლგა“ შენც გიყენია; ერთი საშინაო, ერთიც — საგარეო (ბედი გაქვს — ორივე ლატარიაში „მოიგე“).
ეგლა გაკლია ბუხარი და მარანი არ გქონდეს სარდაფში! მეზობლები იძახიან — ბიჭიც ეგ არის და ცხოვრების შნოც მაგას აქვსო.
ღვთის წყალობით, აგარაკიც შესაფერი გქონია და აუზი ხომ ავ თვალს არ დაენახვება.
ცოლსაც არ დაწყვიტე გული — ამას წინათ, დაბადების დღეს, „ტულბანი“ მიართვი. ერთი სიტყვით, მე ვიკითხო, თორემ შენ საკუთარი „ვიმპელივით“ გაქვს ცხოვრება აწყობილი.
შენზე უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: ვაუკაცს გარაჟი რკინისა, საწოლი თუნდაც ხისაო.
არველოდი წინააზა.



აქტიუზი

№ 560
17 მარტი 1965
საქართველოს
საბჭოთა კავშირის
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საბეჭდო საბჭოს
გამომცემლობა

საბეჭდო
საბჭოთა კავშირის

იპოლიტეს ლოჯია ანეგდოტი გახდა. იპოლიტეს პატარა, ერთოთახიანი ბინა ჰქონდა და შიგ თთხი სულ ცხოვრობდა. ერთ დღეს მოვიდნენ მშენებლები და ჰკითხეს იპოლიტეს: — ძველი ბინა ვირჩევნია თუ ახალი?


იპოლიტე დაკვირვებული კაცი იყო და თქვა: ახალი. ჰოდა, ერთი წლით სხვაგან გადადით და, ამ ადგილას რომ ახალ სახლს წამოვიყვამოთ, იმ სახლში ოროთახიანი ბინას მოგვცემთო. გვახარათ ღმერთმაო, დალოცა იპოლიტემ მშენებლები.

მშენებელი ოროთახიანი ბინა მისცეს, წინ პატარა აივნით და უკან დიდი ლოჯიით. შევიდა იპოლიტემ. შეშინა, იატაკი დააგო და კარგი ოთახი გამოუვიდა. მეზობლებმაც მიბაძეს. ერთ დღეს იპოლიტეს სტუმრები ეწვივნენ და აივანზე ნარდის თამაში მოუხდათ. წინა აივანი პატარა იყო და ვერ დაეტიენ. სხვა გზა არ იყო და იმ დღეს ოთახში აგორეს კამათელი. სტუმრები რომ წავიდნენ, იპოლიტემ იყვირა: აჰ, ასე ცხოვრება არ შეიძლებაო, და მეზობლებს ჩამოუარა: თქვენ რა ხალხი ხართ, ჩვენ რავე, მისჯილი კი არ გვაქვს უაივნოდ ცხოვრებაო; კი, მაგრამ, აივანი ხომ გექონდაო, — უთხრეს მეზობლებმა. — გვექონდა გრამაფონშია. ახლავე დავწერთ კოლექტიური განცხადება და აივნებს ამოგვიშენებნო. მოკლე ხანში აივანიც ამოუყვანეს სახლს. ასე არ ჯობიაო? — თქვა იპოლიტემ, ახლა აივანიც მაქვს და ერთი ზედმეტი ოთახიცო. ზაფხულში მართლაც კარგი იყო აივანი. მერე მოვიდა ზამთარი და იპოლიტეს შესცივდა.

ეს რა აივანია, ზამთარში თუ ვერ გამოვიყენო. მოკლე ხანში აივნიდან შესანიშნავი ოთახი გამოვიდა. ზამთარში კი ასიაშოვნა იპოლიტე მეოთხე ოთახში, მაგრამ ზაფხულში ისევ მოუხდა აივანზე ნარდის თამაში და კიდევ ერთი კოლექტიური განცხადება დაწერა. გუნებში კი გაიფიქრა: კაცი არ ვიყო, თუ მოკლე ხანში ამ სახლს რაც სიგრძე აქვს, ის სიგანე არ მიეცო.

გ. ბარაძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



— სად მიდის, შვილო, ის ავტობუსი?
— ქალაქში, დედი!

სად მიდის შვილი ავტობუსი

ერთ ნაცნობ ქალს შევხვდი. ხელში ალ. ბლოკის ლექსთა კრებული ეჭირა.

— ოჰო! ბლოკს კითხულობ, ყუყუნა?
— კი არ ვკითხულობ, ვთარგმნი, ავარაკს ვაშენებთ, ფული დაგვაკლდა და ვეზმარები ქმარს.

— კარგი საქმეა, მაგრამ ბლოკის თარგმნა არც ისე იოლია. მას ბევრი აქვს თანამედროვე მკითხველისათვის გაუგებარი ადგილი.

— ვიცი, ვიცი, სწორედ ამიტომ პირადად ავტორთან დავამყარე კავშირი.

— როგორ?
— როგორ და... წერილი მივწერე.
— მოგცემს ვითომ პასუხს ბლოკი?
— არ მომცემს და ჩემი ქმარი ხშირად დადის მოსკოვში, იმას გავატან წერილს. უეჭველად მომიტანს ბლოკის პასუხს... დავმორდით ერთმანეთს. ყუყუნა დარწმუნებულია, რომ მიიღებს ბლოკის პასუხს. მეც დარწმუნებული ვარ, რომ გავმოვა ყუყუნას თარგმანი.

როდინე კორკია

რედაქტორი ნ. დუმბაძე
სარედაქციო კოლეგია: ნ. კლიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშინაძე, მ. ქარჩავა, ნ. შევლიძე, თ. ჭელიძე.
საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. კატარისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 2/VIII-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კვ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2549 უფ 01750 ტირაჟი 40000

